ბრძანება:**ბ20.202223544**

თარიღი:**23/08/2022**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის (ღია კონკურსი, დახურული კონკურსი ან შიდა კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნისა და საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 38-ე მუხლების და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14, მე-15 და 25^4-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის (ღია კონკურსი, დახურული კონკურსი ან შიდა კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია და საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ალექსანდრე თარხნიშვილი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი დავით ჩიხრაძე;

გ) კომისიის წევრი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დოდო გაბუნია;

დ) კომისიის წევრი - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე კახა კალმახელიძე;

ე) კომისიის წევრი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ბუჯიაშვილი;

ვ) კომისიის წევრი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური ხელმძღვანელი ტარიელ მაისურაძე;

ზ) კომისიის წევრი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი ვალერიან რევაზაშვილი;

თ) კომისიის წევრი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი არჩილ გიუნაშვილი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ღია და დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნისა და საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №26-ს ბრძანება.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი